



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური
ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი ტენდენციები
და პანდემიის (COVID-19) პრიზისის შემდგომი გამოწვევები

დავით აფენიძე

139

ეპსკერტის კონკრეტული





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთიერთობათა კენცხას ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ეპსონტის აზრი

დავით აფციაშვილი

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური
ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი
ტენდენციები და პარალელური (COVID-19) კრიზისის შემდგომი
გამოწვევები

139

2020



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე სისტემის განვითარების ზოგიერთმა საგანგაშო ტენდენციამ COVID-19-ის გლობალური ეპიდემიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იჩინა თავი. ამ მოულოდნელმა საფრთხემ კი მსოფლიო საზოგადოება მკვეთრად უარესი ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ეჭვგარეშეა, რომ ეს რისკი უახლოეს მომავალში უარყოფითად იმოქმედებს მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაზე. ექსპერტები წინასწარ ვარაუდობენ სამომავლოდ მოსალოდნელ მსოფლიო მშპის, საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის, ინდუსტრიული წარმოების, მომხმარებლის მოთხოვნისა და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის მკვეთრ დაქვეითებას, უმუშევრობის ზრდასა და სხვა არახელ-საყრელ მოვლენებს.

ცივი ომის დასრულებამ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემის ფუნდამენტური რეკონსტრუქციით (მათ შორის, ეკონომიკური ურთიერთობების) დაგვირგვინდა, კარიგაალო მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვანი გლობალიზაციისთვის. ეს პროცესი შეიძლება ჩაითვალოს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის ბუნებრივ შედეგად, რომელიც მიმართულია ერთიანი გლობალური ბაზრის შექმნისაკენ.

ახალმა ათასწლეულმა მკვეთრად შეცვალა ეკონომიკური ბალანსი (ამჟამად მსოფლიო ტრიადა, შეერთებული შტატების, ევროკავშირის და იაპონიის მონაწილეობით, აღარ შეადგენს ცნობილ კონფიგურაციას) აზის, პირველ რიგში, ჩინური ეკონომიკის ზრდის გამო. 2019 წლის მსოფლიო მშპ-ის მონაცემები, ქვეყნების მიხედვით, შემდეგ სურათს აჩვენებს: აშშ – 21,4 ტრილიონი აშშ დოლარი, ჩინეთი – 14,1 ტრილიონი აშშ დოლარი, იაპონია – 5,1 ტრილიონი აშშ დოლარი, გერმანია – 3,8 ტრილიონი აშშ დოლარი, ინდოეთი – 2,9 ტრილიონი აშშ დოლარი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მონაცემები), განსხვავებით 2000 წლის მონაცემებისგან, როდესაც აშშ-ისთვის იგივე მაჩვენებელი იყო 9,764 ტრილიონი აშშ დოლარი, იაპონიისთვის – 4,667 ტრილიონი აშშ დოლარი, ჩინეთისთვის – 1,198 ტრილიონი აშშ დოლარი (ტოპსიაში მე-6 ადგილზე აღმოჩნდა მსოფლიო ბანკის მონაცემებით). ამჟამად შეერთებული შტატები (24,2%) და ჩინეთი (14,1%) მსოფლიო ეკონომიკის თითქმის 40 პროცენტს იკავებენ (სსფ-ის მონაცემები).

მსოფლიოს პოლიტიკისა და ეკონომიკის ყოვლისმომცველმა გლობალიზაციამ, თანმხლები კრიზისებით, აკადემიურ და საქმიან წრეებში, შემდგომი რეფორმების საჭიროების განსასაზღვრად, ეკონომიკის განვითარების არსებული მოდელების ეფექტურობის

შესახებ დებატები გამოიწვია. „მოკლედ რომ ვთქვათ, შეუზღუდავ-
მა კაპიტალიზმა საკვანძო როლი შეასრულა დღეს ჩვენი საზოგა-
დოებების წინაშე არსებული მრავალი კრიზისის ჩამოყალიბების
საქმეში. „თუ კაპიტალიზმი მოქმედია, მან ეს კრიზისები უნდა აღ-
მოფხვრას და ემსახუროს საზოგადოებას, რაც ამჟამინდელი ფორ-
მით მას არ შეუძლია. უნდა განვითარდეს კაპიტალიზმის ახალი
სახეობა – რასაც სხვაგან დავარქვი პროგრესული კაპიტალიზმი და
გულისხმობს მთავრობის, ბაზრისა და სამოქალაქო საზოგადოების
უკეთეს წონასწორობას“.²

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში ეკო-
ნომიკური და ფინანსური კრიზისების ზრდა (ფინანსური კრიზისი
რუსეთში 1998 წელს, სესხის კრიზისი აღმოსავლეთ აზიაში 1999
წელს, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი, ასევე 2008
წელს დაწყებული ევროზონის ფინანსური კრიზისი, COVID-19-ით
გამოწვეული 2020 წლის ეკონომიკური კრიზისი) გლობალური
კრიზისების მართვის არსებული მექანიზმის განახლების საჭიროე-
ბას ადასტურებს.

მაღალი დონის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთქმე-
დების მზარდი მნიშვნელობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს კიდევ
ერთ ტენდენციად (განსაკუთრებით, 70-იანებისა და 2008 წლის
გლობალური კრიზისების შემდეგ), რომელიც ეფუძნება წამყანი
სახელმწიფოების მეთაურების რეგულარულ სამიტებს, პირველ
რიგში, G-20-ის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ G-20-მა თავი-
სი შეხვედრები ფინანსთა მინისტრების დონეზე დაიწყო, მონაწი-
ლეთა რაოდენობისა და ახალი გლობალური თემების (როგორები-
ცაა სოციალური განვითარება, მიგრაცია, გარემო, უსაფრთხოების
საკითხები და ა.შ.) ზრდა საერთო დღის წესრიგში ცხადყოფს
სამიტების არა მხოლოდ ეკონომიკურ მოტივაციას. ამ ფაქტის გათ-
ვალისწინებით, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩვენ
ვხედავთ პოლიტიკური ჩარევის მატების ტენდენციას.

ამჟამად ჩვენ მონმენი ვართ ეკონომიკისა და გლობალური
უსაფრთხოების რისკების ურთიერთდამოკიდებულების პროცესი-
სა, რომელიც მოიცავს: იარაღითა და რადიოაქტივური მასალების
უკანონო ვაჭრობას, უკანონო საბანკო ოპერაციებს, კიბერშეტე-
ვებს, ტრეფიკინგს, მეკობრეობასა და სხვას, რაც წარმოიშვა კონ-
ფლიქტებით გამოწვეულ ე.წ. „არაკონტროლირებად შავ ხვრელებ-
ში“, მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის, საქართველოში.
„2014 წელს ევროპოლმა (ევროპის პოლიციის სამსახურმა) დაად-
გინა, რომ ევროკავშირში თითქმის ნახევარი მილიონი დაკარგული

ან მოპარული ცეცხლსასროლი იარაღი იყო³. სხვა დაკვირვებით, „კიბერდანაშაულის ინდუსტრიამ 2018 წელს მინიმუმ 1,5 ტრილიონი აშშ დოლარი გამოიმუშავა“⁴. მსოფლიოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი ჩართულია ინტერნეტში და დაახლოებით ერთი მილიონი ახალი მომხმარებელი ერთვება ყოველდღიურად. მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამეს აქვს მობილური მოწყობილობა⁵. ეს გლობალური მიღწევებია. კიბერშეტევების შემდგომი ორგანიზება გამოიწვევს „ინფორმაციის ინფრასტრუქტურის ჩამოშლას“, რაც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რისკფაქტორია.

ბოლო წლებში კიდევ ერთ გამოწვევად იქცა გლობალური მიგრაციის ზრდა, განსაკუთრებით, არალეგალური მიგრაციისა. გლობალური არარეგულირებული თუ არალეგალური მიგრაციის პროცესის გაფართოება არსებითად აზიანებს ორგანიზებულ შრომასა და ტურისტულ ბაზარს და ასაზრდოებს კონფლიქტების შედეგად, აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებებითა თუ სხვა მიზეზებით გამოწვეულ დანაშაულებრივ საქმიანობას ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

ამ პროცესმა განსაკუთრებით იმოქმედა ევროპულ ქვეყნებსა და თურქეთზე და სერიოზული დაძაბულობა გამოიწვია ევროკავშირის შიგნით, როდესაც საერთო სტრატეგიის მიღების საკითხი დადგა. ლტოლვილების დიდმა რაოდენობამ სირიიდან და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტით დაზარალებული სხვა ქვეყნებიდან დამატებით გაამწვავა ჯერ კიდევ მანამდე არსებული რთული ვითარება.

თანამედროვე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები ასევე შეიძლება აიხსნას არა ეკონომიკური მიზეზებით, რომლებიც, მაგალითად, უკავშირდება სტიქიური უბედურებების მატებას, ფართო-მასშტაბიან სამედიცინო დაავადებებს, საკომუნიკაციო მიწოდების არხების შეფერხებას (ძლიერი მიწისძვრები აზიაში, შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ქარიშხლები, ვულკანის აფეთქებები, გლობალური ეპიდემიის ტალღები). მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პანდემიური კატასტროფების რაოდენობის შესახებ სტატიისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება: „აივ/შიდსი – 1981, SARS-2002/2003, ლორის გრიპი – 2009/2010, MERS-2012, ებოლა – 2014/2015 და ბოლოს – COVID-19-2020“⁵. ასევე გაიზარდა ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი მოკლე დროში: 2011 – 352, 2012 – 355, 2013 – 362, 2014 – 373, 2015 – 373, 2016 – 375, 2017 – 393, 2018 – 415, 2019 – 409. „კლიმატის ცვლილება უფრო მძიმე და სწრაფი შედეგებით ხასიათდება, ვიდრე

მოსალოდნელი იყო. ბოლო ხუთი წელი, არსებული მონაცემებით, ყველაზე თბილი იქნება, ბუნებრივი კატასტროფები უფრო ინტენსიური და ხშირი ხდება...⁶ აშკარაა, რომ ამ გამონვევებს სჭირდება არა მხოლოდ გაძლიერებული ფინანსური საშუალებები, არამედ უფრო ეფექტური გლობალური მენეჯმენტი და საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების კონსოლიდირებული ძალისხმევა.

თუკი განვაგრძობთ არაეკონომიკური წარმომავლობის შემთხვევების ანალიზს, ხაზი უნდა გაესვას პოლიტიკურ კომპონენტს, მათ შორის იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, რომლებსაც დასავლურ საზოგადოებაში დეკლარირებული აქვთ პოპულისტური პროგრამები და ეკონომიკური ნაციონალიზმის იდეები. „ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთ ევროპის პარტიული სისტემების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არის პოპულისტური რადიკალური მემარჯვენე (PRR) პარტიების სწრაფი ზრდა“.⁷

მეორე კომენტარი: „2016 წლის ორი ძირითადი მოვლენა განსაზღვრავს პოპულისტური მოძრაობების გაძლიერებას, რომლებიც დასავლეთის მრავალ ქვეყანაში 2010-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება. პირველი იყო ბრექსიტის კენჭისყრა, როდესაც ივნისში გაერთიანებულმა სამეფომ ხმა მისცა ევროკავშირის დატოვებას, რასაც მოჰყვა ნოემბერში დონალდ ტრამპის არჩევა შეერთებული შტატების პრეზიდენტად“.⁸ ზოგადად, ამ იდეოლოგიის ე.წ. „დოზის გადაჭარბებამ“, ჩვენი აზრით, შეიძლება დააზიანოს ბალანსი ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ჯანსაღ და ადეკვატურ დაცვასა და სრულმასშტაბიანი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას შორის, რომელიც სტაბილური საერთაშორისო თანამშრომლობის ერთადერთი მისაღები ფორმულაა. „იმ საზოგადოების წევრები, სადაც მრავალი დაინტერესებული მხარეა, 2020 წლის მთავარ რისკებად მიიჩნევენ ეკონომიკურ დაპირისპირებებსა და საშინაო-პოლიტიკურ პოლარიზაციას“.⁹

ჩვენი აზრით, ორმხრივი ურთიერთობების დინამიკური ზრდა და თანამშრომლობის მრავალმხრივი სქემების მნიშვნელობის კლება, განსაკუთრებით, საგარეო ვაჭრობაში, ასახავს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ამჟამინდელ სტატუსს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, „მულტილატერალიზმს საფრთხე ემუქრება. ისტორიულად მის ყველაზე მძლავრ დამცველს, შეერთებულ შტატებს, ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მიმართულია პოლიტიკის – „ამერიკა უპირველსად“ განხორციელებისკენ, რაც აფერხებს გლობალურ თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, რომ

უფრო და უფრო აშკარა ხდება ისეთ სფეროებში თანამშრომლობის საჭიროება, როგორებიცაა მშვიდობის დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და გარემოს დაცვა¹⁰. „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივით ჩინეთმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მიდგომას, რომელიც ემყარება ამ მრავალმხრივი გლობალური პროექტის ფარგლებში დადგებულ ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს. ვფიქრობთ, ეს ფორმულა შეიძლება შეფასდეს, როგორც „მრავალმხრივი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც ხორციელდება და რომელსაც საფუძვლად უდევს ორმხრივი გადაწყვეტილებებს“. სამწუხაროდ, აშშ-ჩინეთის მოლაპარაკებები ტარდება ამ სფეროში წამყვანი ინსტიტუტის – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის – რეალური მონაწილეობის გარეშე, რომელიც პასუხისმგებელია გლობალური სავაჭრო ურთიერთობების სამართლიან და ეფექტურ რეგულირებაზე. პოლიტიკის გავლენით იყო განპირობებული შეერთებული შტატების გასვლა იუნესკოდან და ამ ორგანიზაციის შესუსტება. გარდა ამისა, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტთან დაკავშირებული დაუსრულებელი დავა ფინანსური ვალდებულებების გამო ხელს უწყობს და აღრმავებს აღნიშნულ უარყოფით ტენდენციას.

სხვა ტენდენციაა პროტექციონიზმის პოლიტიკის გაძლიერება ვაჭრობასა და წარმოებაში და ლიბერალიზმის შესუსტება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამის ნათელი მაგალითია ტრამპის ადმინისტრაციის სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ეროვნული ეკონომიკური ინტერესების გაძლიერებას და მკაცრად დაცულ ზომებს, რომლებიც მიიღო ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ (გერმანია). ეს ზომები ემსახურება კორპორაციების (მათ შორის, მაღალტექნიკულოგიური და ავტომობილების წარმოების) კომერციული ინტერესების მხარდაჭერას. ეკონომიკური ცხოვრების რეგულირება მთავრობების ვალდებულებაა და გულისხმობს პოტენციურ საფრთხეებთან გამკლავებას, თუმცა, ჩვენი აზრით, პოზიტიური შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაბალანსებული ლიბერალური და კონსერვატიული მიდგომების გამოყენებით, რომლებისთვისაც პრიორიტეტულია ქვეყნების ეროვნული ინტერესები.

სხვადასხვა ბიზნესგარემოს განვითარება, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო შესაძლებლობების ფართო გამოყენება (ციფრული ქსელი ვაჭრობაში, ტრანსპორტში და ა.შ.), ცვლის სავაჭრო გარიგების ტრადიციულ გაგებასა და პროცედურებს და მოითხოვს განახლებულ ცოდნას მართვის სფეროში. ჩვენ მოწმენი ვართ, რომ 2014 წლიდან 2021 წლამდე არნახულად

გაიზარდა ელექტრონული ვაჭრობის გზით გარიგებებზე მოთხოვნა: „კრებსითი მონაცემების მიხედვით, სავარაუდოა მსოფლიო ვაჭრობაში ელექტრონული გაყიდვების 276,9%-იანი ზრდა უახლეს პერიოდში“ (აარონ ორენდორფი, გლობალური ვაჭრობა).¹¹

სამწუხაროდ, მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურას, მომსახურების სექტორის არსებული ნამატის გამო, რომელიც 63%-იანი წილით აღინიშნება, ბალანსის ნაკლებობა აქვს.¹² 2018-2019 წლებში ხსენებული სექტორების წილი თითქმის უცვლელი იყო. მსოფლიო მშპ-ში მომსახურების ზრდის ტენდენცია შეიცავს გარკვეულ რისკს გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის და უპირატესად გავლენას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე ახდენს. სავარაუდოა, რომ პანდემიის შემდგომ ფაზაში „მომსახურების ეკონომიკა“ მნიშვნელოვნად განვითარდება.

შევრ ქვეყანაში კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება მთავრობასა და კერძო სექტორს შორის ბალანსის არარსებობა ეკონომიკურ რეგულირებაში (2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემთხვევა, როდესაც აშშ-ის საპანკო სექტორი იღებდა უსაფუძვლო პრივილეგიებს ულტრალიტერალური სტრატეგიის გამო, რაც ძირითადად მთავრობის სტიმულირებული იყო). ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირება-დერეგულირება არ ეფუძნება ეროვნული და გლობალური სტაბილურობის შესაძლო შედეგებისა და გავლენის ღრმა ანალიზს.

შევრმა ქვეყანამ საკუთარი ეროვნული ეკონომიკური სიჯანსაღის სტატუსის გასაზომ ძირითად საშუალებად მაკროეკონომიკური მონაცემების გამოყენება დაიწყო. აქ იგულისხმება მშპ, ეკონომიკური ზრდის ტემპი და ა.შ. ეს მეთოდი ხარისხობრივ მიღებომას რაოდენობრივი შეფასებით ანაცვლებს. ამ არახელსაყრელმა ტენდენციამ ხელი შეუწყო მოსახლეობისთვის სოციალური პროგრამების მნიშვნელობის შემცირებას. ჩვენი აზრით, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში COVID-19-ზე დაგვიანებული რეაგირების ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებული იყო ჯანდაცვის ინდუსტრიის მოდერნიზაციისთვის საჭირო თანხების დეფიციტთან და ყოვლისმომცველი პრევენციული ზომების ნაკლებობასთან. ეს ვითარება კვლავ აჩენს მართვის პრობლემებსა და დაპირისპირების რისკს საშინაო პოლიტიკაში და მოქალაქეების ნაწილს დახმარების გარეშე ტოვებს. „სოციალური თუ კეთილდღეობის ეკონომიკის“ პოპულარიზაციას დღეს უფრო ძლიერი მხარდაჭერა აქვს. „კეთილდღეობის ეკონომიკა ხაზს უსვამს ხალხის პოლიტიკის ცენტრში დაყენების საჭიროებას. მნიშვნელოვანია, რომ თავი ავარიდოთ დამოკიდებულებას, რო-

მელიც გათვლილია ეკონომიკურ ზრდაზე, მოვახდინოთ რედისტ-რიბუცია და გზა გავუხსნათ იმთავითვე უფრო სამართლიან და მდგრად ზრდას".¹³

მაგრამ ეს ნაბიჯი აუცილებლად საჭიროებს პრაქტიკულ მხარდაჭერას მთავრობებისა და მთლიანად ევროკავშირის მხრი-დან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის გლობალური რისკების ანგარიშის 2020 მიზნებების თანახმად, „ჯანმრთელობის სისტემები მთელ მსოფლიოში მიზნისთვის შეუსაბამობის რისკის ქვეშ დგას. არაგადამდებმა დაავადებებმა, მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა და ფისქიატრიულმა, ჩანაცვლა ინფექციური დაავადებები, როგორც სიკვდილის მთავარმა გამომწვევმა მიზეზ-მა, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებამ და ქრონიკული დაავადებების მართვის ეკონომიკურმა და სოციალურმა ხარჯებმა საკმაოდ მოშალა ბევრ ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემები. პანდემიის საწინააღმდეგო წინსვლას ასევე ძირს უთხრის ვაქცინაციის საწინააღმდეგო მოძრაობა და წამლის მიმართ რეზისტენტულობა, რაც კიდევ უფრო ართულებს ადამიანის ყველაზე დიდი მკვლელების საბოლოო განადგურებას".¹⁴

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტის დაბალი ეფექტურობა, რაც ასევე გულისხმობს მათ სუსტ წვლილს სიღარიბის შემცირების საქმეში. „კერძოდ, საერთაშორისო საზოგადოებისა და მსოფლიო ეკონომიკის მენეჯმენტში დაკარგულია გაეროს ადრინდელი როლი, ხოლო მისი ფუნქციები გადასულია მთავრობებზე, „დიდ რვიანსა“ და „დიდ ოცეულზე“.

პრაქტიკა გეიჩენებს, რომ 90-იან წლებში მექსიკა-სა და აღმოსავლეთ აზიაში, ფინანსური კრიზისის გადალახვის წარმატების პარალელურად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ძირებული რეფორმების უკიდურესი საჭიროების წინამე დგანან, რათა უკეთ შეძლონ გლობალურ ეკონომიკაში არსებულ დღევანდელ რეალობასთან გამკლავება".¹⁵ გლობალურ წესებზე დაფუძნებული ეკონომიკური წესრიგის თანდათანობითი მოშლის საპასუხოდ საჭიროა ახალი ბრეტონ-ვუდსის კონფერენცია, რათა ხელახლა დადასტურდეს საერთაშორისო დონეზე მიღებულ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ურთიერთობების სარგებელი ყველა ქვეყნისთვის და ეფექტურად სამართავად მოხდეს ინსტიტუტების განახლება. „...ამჟამინდელი გამონვევები მოითხოვს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური არქიტექტურის საფუძვლიან გადახედვას. წაკლებად სავარაუდოა,

რომ ამ გამოწვევებს დამატებითმა ცვლილებებმა უშველოს. ამ გამოწვევების გარეშე კი, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ, განაგრძობს რღვევას მანამ, სანამ რაღაც მომენტში არ ჩამოიშლება¹⁶.

ასევე აშკარაა ბიზნესსაქმიანობის ყველა დონეზე გამოვლენილი მენეჯმენტის მკვეთრი ვარდნა. ჩვენი აზრით, მაკონტროლებელი სტრუქტურების დაბალი ეფექტურობა არის 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი. ბევრმა აუდიტორულმა კომპანიამ სავალდებულო მაკონტროლებელი ფუნქციები საკონსულტაციო ფუნქციებად აქცია, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში თან ახლავს ბიუროკრატიული მიღების და პრევენციული რეკომენდაციების უგულებელყოფა რისკების შემცირების მიზნით.

ბიზნესურთიერთობებში სულ უფრო იკვეთება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურას. თუმცა ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს როლი სათანადოდ არ არის შეფასებული, განსაკუთრებით – კორპორაციის დონეზე, როდესაც იზრდება გლობალური პარტნიორობა განვითარებადი აზიის შეუსწავლელი ბაზრის მიმართულებით (ჩინური „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიციატივის მაგალითი). გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზოგადოებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა მენეჯმენტის გამოცდილების თვალსაზრისით, ამ ფაქტორმა შეიძლება შეანელოს გრძელვადიანი და სტაბილური გლობალური ეკონომიკური თანამშრომლობა.

ცოტა ნაადრევია გლობალური ეკონომიკის განვითარების პროგნოზირება კორონავირუსის დაავადების არსებობის ფონზე, თუმცა ჩვენი წინასწარი შეფასებებიდან გამომდინარე, მომავალში შესაძლებელია შემდეგი ტენდენციები და მოვლენები მივიღოთ:

- ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რომლებიც არსებობდა კორონავირუსის პანდემიის ტალღამდე, შენარჩუნდება, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებებითა და შესწორებებით, პირველ რიგში, მართვის პოლიტიკის ყველა დონეზე.
- კრიზისებმა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული მრავალი პრობლემა გამოავლინა, მოუმზადებლები აღმოჩნდით, რომ მულტინაციონალური ორგანიზაციების ჩართულობითა და გაერთიანებული ძალისხმევით თავიდან აგვეცილებინა

და გვემართა გლობალური კრიზისები. „COVID-19-მა გამოაჩინა ბზარები გლობალური ნდობის სფეროში, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ნაკლოვანებები და გლობალური მმართველობის პრობლემა“.¹⁷ საჭიროა პრიორიტეტული გახდეს ახალი გლობალური რისკების თავიდან აცილებისა და წინააღმდეგობის განევის საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი მოდელის დამკვიდრება, რომელიც შეიქმნება გაეროს სისტემისა და რეგიონული ალიანსების სისუსტის გათვალისწინებით.

- კრიზისებისგან მიღებულმა გაკვეთილებმა ხელახლა გამოაჩინა მთავრობისა და კერძო სექტორის ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობა გლობალური საფრთხეების მოგვარებას საქმეში. სამწუხაროდ, სათანადოდ არ მოხდა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგების გათვალისწინება. „2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ გლობალურ ეკონომიკაში არსებული დისბალანსი და რისკები პოლიტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა გაამწვავა. ამგვარად, მთავრობებმა, ძირითადად, უგულებელყვეს სტრუქტურული პრობლემების მოგვარება, რომლებიც ფინანსურმა კრახმა და შემდგომმა რეცესიამ გამოავლინა. შედეგად, გზადაგზა წარმოიქმნა ის დიდი რისკები, რამაც კიდევ ერთი კრიზისი გახადა გარდაუვალი“.¹⁸ ვფიქრობთ, რომ მთავრობისა და საჯარო სექტორის როლი კრიზისების მართვის საქმეში უნდა გაიზარდოს, რაც მოსალოდნელია კიდეც.
- საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტებს სერიოზული სირთულეები შეექმნებათ ბიუჯეტის შესრულებისა და თანამშრომლობის დღის წესრიგში ბევრ საკითხზე კონსენსუსის მიღწევისას. შეერთებულ შტატებს, ჩინეთს, ევროპას, რუსეთსა და სხვა მნიშვნელოვან მოთამაშეთა შორის მსოფლიო ეკონომიკის მთავარ პრობლემებთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობები და მუდმივი დავა შეაფერხებს მულტინაციონალური ეკონომიკური ინსტიტუტების ფარგლებში ეფექტურ პარტნიორობას მომდევნო წლებში.
- მოსალოდნელია ორმხრივი (და სხვა შეზღუდული ფორმატების) ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმების კიდევ უფრო ხელშეწყობა სახელმწიფოების თუ საერთაშორისო ცხოვრების უახლესი ტენდენციების გამო („ეკონომიკური ნაციონალიზმის აღზევება“ და საერთაშორისო ინსტიტუტების, მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, როლის შემცირება).

- ახალი ბიზნესგარემოს გავლენით ასევე განახლდება შრომის საერთაშორისო დანანილების არსებული სტრუქტურა და მექანიზმები (წარმოების გადაადგილება ჩინეთიდან სხვა პაზრებზე).
- პოსტპანდემიური კრიზისების ფაზა გარკვეული დროით გაზრდის „ციფრული ეკონომიკისა“ და „ციფრული სერვისის ეკონომიკის“ მნიშვნელობას, სამომხმარებლო საქონლის ელექტრონული ვაჭრობის ჩათვლით (პირველ რიგში, საკვები პროდუქტები, ფარმაცევტული, ელექტრონული მოწყობილობები და ჯანმრთელობის დაცვის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვა საქონელი). ასევე გაიზრდება სატრანსპორტო გადაზიდვებისა და სხვა საკომუნიკაციო მომსახურების მნიშვნელობა (ძირითადად, ტვირთის გადაზიდვები, სატვირთო ჰაბებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ა.შ.).
- არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მეტი ფინანსური რესურსი გამოიყოფა „სოციალური ეკონომიკის“ ეროვნულ და გლობალურ დონეზე გასაძლიერებლად, მათ შორის, მომსახურებების, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის სოციალურ და ჯანდაცვის საჭიროებებს. მეორე მხრივ, ფონდების ადგილის ამგვარ ცვლას შეუძლია შეაჩეროს მრავალი გლობალური პროგრამა, რომლებიც დაკავშირებულია მდგრად განვითარებასთან (სილარიბის, გაუნათლებლობის, გარემოსდაცვითი პრობლემების შემცირება და ა.შ.).
- „პირისპირ“ ბიზნესის ტრადიციული ფორმატი ხშირ შემთხვევაში შეიცვლება ონლაინ დიალოგითა და შესაბამისი დისტანციური გადაწყვეტილებებით, სულ მცირე, მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში. მაღალი ალბათობით, კომერციული კონტრაქტების გაფორმებაც ასევე ელექტრონულად მოხდება. ამრიგად, ბიზნესის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, სავარაუდოდ, განხორციელდება ბიზნესპარტნიორებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გარეშე. ეს ტენდენცია არ არის სიახლე. იგი პანდემიის კრიზისამდე გამოიკვეთა, მაგრამ მომავალში ის უფრო მეტად დაწინაურდება და გაძლიერდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო, საჯარო თუ კერძო მენეჯმენტის ყველა ფონებზე.
- მრავალეროვნული კულტურული ტრადიციების განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა მასტებური საერთაშორისო სავაჭრო გამოფენაა. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებების

საბოლოო მიზანი კომერციული მოგებაა. ამავე დროს, გლო-
ბალიზებულ სამყაროში გამოფენები ყოველთვის წარმოადგენ-
და კარგ პლატფორმას ბიზნესპარტნიორების თავისებურებები-
სა და მათი კულტურის შესახებ უფრო მეტის გასაგებად და
ასევე, იდეების გასაცვლელად. ამ მხრივ, უახლოეს პერიოდში
მსგავსი ლონისძიებების დროებით გაუქმება გავლენას მოახ-
დენს ბიზნესთანამშრომლობაზე.

- ეს ახალი გარემო, ერთი მხრივ, აჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მას უფრო სწრაფსა და დინამიკურს ხდის; მეორე მხრივ კი, წარმოშობს გარკვეულ რისკებსა და სხვა-
დასხვა ტიპის ჩავარდნის საფუძველს უშუალო ადამიანური კონტაქტების არარსებობის (ეს ფაქტორი არ შეიძლება უგულებელვყოთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაშიც კი, განსა-
კუთრებით აღმოსავლეთის ბიზნეს საზოგადოებისთვის), ბიზ-
ნესპარტნიორების წესებისა და კულტურული ტრადიციების შესახებ შეზღუდული ცოდნის გამო. ამ ელემენტმა შეიძლება შეარყიოს ნდობა და საიმედოობა ბიზნესგარიგებებში, რასაც ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა წერილი წარმატებული და გრძელვადიანი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისთვის.
- ასეთ ვითარებაში აუცილებელია ბიზნესის მმართველებმა გა-
ნიხილონ განახლებული საერთაშორისო ონლაინსაგანმანათლე-
ბლო და ტრენინგპროგრამების საჭიროება, განსაკუთრებით მათ, ვინც მუშაობს განვითარებადი ქვეყნების მზარდ და მოწყვ-
ლად ბაზრებზე.
- ახალი გარემო, სავარაუდოდ, აუცილებლად მოითხოვს ბიზნესის ეტიკეტისა და ქცევის ადაპტირებას განახლებულ მოთხოვნებთ-
ან. შესაბამისად, ვირუსის საწინააღმდეგო ზომების გათვალის-
წინებით, შეიცვლება ხელის ჩამორთმევისა და ემოციური მის-
ალმებების, დიდი საქმიანი ლანჩებისა და საჩუქრების გაცვლის ტრადიცია. ეს შეზღუდვები განსაკუთრებით საგრძნობი და
უჩვეულო იქნება ბიზნესნერებისთვის აზის რეგიონიდან და
სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან, სადაც ამ ტრადიციებს ისტო-
რიული ფესვები და განსაკუთრებული აღიარება აქვს.
- მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი უკავშირდება ბიზნესის მმართ-
ველების ფსიქოლოგიურ მზადყოფნას, განაახლონ თავიანთი საქმიანობა პანდემიის შემდგომ გარემოში. საკმაოდ ხანგრძლი-
ვი პაუზა და სახლში დარჩენა ნამდვილად შეანელებს სტან-

დარტულ საერთაშორისო ბიზნესცხოვრებაში დროულად დაპრუნებას. გარდა ამისა, ვირუსის ახალი ტალღების მოლოდინი დამატებითი დაბრკოლებაა ჩვეულ ყოფასთან დასაბრუნებლად. კულტურული განსხვავებებისა და დასავლური და აღმოსავლური ბიზნესის გამოცდილების სპეციფიკასთან ერთად, ამ ფაქტორმა შეიძლება არსებითად იმოქმედოს ბიზნესპროექტების განხორციელებაზე.

გაურკვევლობა, დაუცველობა, სტაბილური სამუშაოსა და ცხოვრების პირობებისთვის მოსალოდნელი საფრთხეები, სამუშაო შესაძლებლობების დაკარგვის შიში და ა.შ. წარმოადგენს პანდემიის კრიზისით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკის ამჟამინდელი და მომავალი მდგომარეობის შეფასებისა და შეშფოთების საკითხებს. „პირველ რიგში, COVID19-ის წარმოშობა კარგად არ არის შესწავლილი“. ფინანსური კრიზისების მსგავსად, სხვადასხვა პანდემიას ბევრ საერთო მახასიათებელი აქვს, მაგრამ განსხვავება დეტალებშია და ამან შეიძლება უზარმაზარი გაურკვევლობა შექმნას. არავის შეუძლია წინასწარ ზუსტად განსაზღვროს მათი მიმდინარეობა, მაგრამ უმჯობესია მოუსმინოთ პროფესიონალ ეპიდემიოლოგებს, ვიდრე სამართლის პროფესორებს, პოლიტიკოსებს ან, თუნდაც, ეკონომისტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ უკეთესად იციან“. (პოლ კრუგმანი, New York Times Opinion, 2020 წლის 5 მაისი). იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გარკვეულიმა ტენდენციებმა თავი იჩინა პანდემიამდე, ჩვენი აზრით, ისინი მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში არსებითი ცვლილებებით დარჩება. პანდემიამ გამოავლინა საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის მოუმზადებლობა, თავიდან აეცილებინა და ემართა გლობალური პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია სამედიცინო წარმომავლობისაა, მისი გავლენა ერების სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაზე უზარმაზარია. სამწუხაროდ, არავის გაუთვალისწინებია 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილები, როდესაც ბოლომდე არ იყო გაანგარიშებული არაეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ძირითადად კრიზისების სუსტ მენეჯმენტს უკავშირდებოდა. ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო გახდება საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებების მოწმე. გლობალურ კრიზისთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობის განახლებული მოდელი უნდა შემუშავდეს გაზრდილი დაფინანსები-

სა და მენეჯმენტის გაუმჯობესებული პრაქტიკის საფუძველზე. ეს ცვლილებები წინასწარ შეეხება ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: „ციფრული ეკონომიკა“, „სოციალური ეკონომიკა“, საერთაშორისო ბიზნესის დისტანციური მართვა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ახალი რეგულაციების გააქტიურება. შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს შრომის საერთაშორისო განაწილებაში, ეკონომიკის სტრუქტურულ რეფორმირებაში, საერთაშორისო ინვესტიციების გეოგრაფიაში, გლობალური სამუშაო ძალის მიგრაციის პოლიტიკასა და საერთაშორისო ბიზნესის მართვის პრაქტიკაში. ვფიქრობთ, უფრო მეტი კვლევა სჭირდება ამ თემებს, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ და შევამციროთ ის რისკები, რაც შეიძლება დაემუქროს მსოფლიო ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. World Bank Statistics on the World Economic structure,2017, www.wdi.worldbank.org/table/4.2
2. International Monetary Fund Statistics (World's Gross Domestic Product in 2019), www.imf.org/en/Publications/WEO
3. Joseph. E. Stiglitz, Project Syndicate "Has Davos Man Changed?" January30,2020 www.project-syndicate.org/commentary/davos-gap-between-business-leaders-rhetoric-and-actions-by-joseph-e-stiglitz-2020-01?barrier=accesspaylog
4. European Agency on Law "Enforcement Europol, Illicit Firearms Trafficking," (source: www.europol.europa.eu/crime-areas-and-trends/crime-areas-/illicit-firearms-trafficking?) www.europol.europa.eu/crime-areas-and-trends/crime-areas/illicit-firearms-trafficking
5. Casey Crane, "33 Alarming Cybercrime Statistics You Should Know in 2019 "Hashedont, November 2019. www.journalofcyberpolicy.com/2019/11/15/33-alarming-cybercrime-statistics-know-2019-hashed-ssl-store/
6. Global Risks Report 2020 – World Economic Forum in partnership with Marsh & Mac Leman and Zurich Insurance Group published on January 15, 2020. www.weforum.org/reports/the-global-risks-report-2020
7. Krogstad, Passel, Cohen „Accountability Across Borders: Migrant Rights in North America „, edited by Xochitl Bada and Shamon Gleeson, University of Texas Press, Fifth Edition, 2017. www.books.google.ge/books?id=vvxzDwAAQBAJ&pg=PA10&lpg=PA10&dq=Krogstad,+Passel,+Cohen&source=bl&ots=NFvtPOk5rl&sig=ACfu3U0tVmDSTgd0keYL76fcZYITNNVbug&hl=ka&sa=X&ved=2ahUEwj2v6PQvZ_qAhXIIqQKHypDDAIQ6AEwA
8. Nicola Le Pan „, Healthcare, - Visualizing the History of the Pandemics „, March 2020. www.primo-europe.eu/visualizing-the-history-of-pandemics/
9. Statista, 2019, statistics portal for market data, Global No1 Business Data Platform: www.statista.com/
10. Cas Mudde and Cristobal Rovira Kaltwasser "Populism: A Very Start Introduction" February 1, 2017. www.blogs.lse.ac.uk/lserewiewofbooks/2017/07/18/book-review-populism-a-very-short-introduction-by-cas-mudde-and-cristobal-rovira-kaltwasser/
11. „Populism in Europe – Statistics & Facts „, by Statista Research Department, Feb.20,2020. www.statista.com/topics/3291/right-wing-populism-in-the-european-union/
12. Aaron Orendorf „,Global Commerce - Global E - commerce Statistics and Trends to Launch Your Business Beyond Borders, Shop by Plus, Feb,14, 2019, www.hopify.com/enterprise/global-ecommerce-statistics

13. Angel Gurria. OECD Secretary General, Brusseles, Belgium, July,8,2019.
www.oecd.org/belgium/oecd-secretary-general-in-brussels-july-2019.htm
14. Stephen Pickford , Renewal of the Bretton Woods System , Chatham House, June 12, 2019. www.chathamhouse.org/expert/comment/renew-bretton-woods-system
15. Richard Smith-Binghamand and Kavitha Hariharan "This the impact of the Corona virus on businesss" World Economic Forum COVID Action Platform, February,21,2020, www.ccapitalideas.com/2020/02/27/this-is-the-impact-of-the-coronavirus-on-business/
16. Nouriel Roubini "The Coming Greater Depression of the 2020s, Project Syndicate, Apr.28,2020, www.Syndicate.org/commentary/greater-depression-covid19-headwinds-by-nouriel-roubini-2020-04
17. V. Papava and V. Charaia(2020), "The Economic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy," Georgian Foundation for Strategic and International Studies, Expert opinion No 136. www.gfsis.org/publications/view-opinion-paper/136
18. Paul Krugman, "The New York Times Opinion" May 5,2020, New York Times, www.nytimes.com/2020/05/04/opinion/trump-coronavirus.html.